

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია



საბაკანდრო და სამეცნიერო პროგრამები
კატალოგი
2020 - 2021 სასწავლო წელი

აკადემიის შესახებ

სამხედრო სასწავლებლების ისტორია საქართველოში 1918 წელს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან იწყება. მას შემდეგ რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, დღის წესრიგში დადგა ოფიცერთა ეროვნული კადრების მომზადების საკითხი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს გამართულ სხდომაზე დამტკიცდა „კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულიარული არმიის ორგანიზაციისა“, რომლის თანახმად იუნკერთა მოსამზადებლად უნდა დაარსებულიყო სამხედრო სკოლა. სწორედ ეს თარიღი განისაზღვრა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დღედ.

რესპუბლიკის მთავრობამ ახალი სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბება დაავალა გენერალ გიორგი კვინიტაძეს, რომლის ძალისხმევით ქართულმა სამხედრო სკოლამ იუნკერთა პირველი ნაკადი 1919 წლის სექტემბერში მიიღო. აღნიშნულმა სასწავლებელმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე (1921 წ.) იარსება. კომუნისტური მმართველობის დროს, სამხედრო სკოლა ჯერ წითელარმიელ კურსანტთა სამხედრო სასწავლებლად, შემდეგ კი თბილისის საარტილერიო სასწავლებლად გადაკეთდა და 1991 წლამდე იარსება.

1993 წლის 28 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემია, რომელმაც მსმენელთა პირველი ნაკადი 1993 წლის სექტემბერში მიიღო. მოგვიანებით სასწავლებელს ჯერ თავდაცვის ეროვნული აკადემია, ხოლო შემდგომ, ეროვნული თავდაცვის აკადემია ეწოდა. 2003 წლის 20 თებერვალს უმაღლეს სასწავლებელს დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭა. 2009 წლიდან, სასწავლებელი ქალაქ გორში განლაგდა.

2010 წელს აკადემიაში რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც ოფიცერთა განათლების მთელი სისტემა მოიცვა. ამავე წელს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, აკადემიამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მოიპოვა. ეროვნული თავდაცვის აკადემიის მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

2014 წლის 28 მაისს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, აკადემიის მსმენელებს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნის პატივსაცემად, ისტორიული სახელი „იუნკერი“ დაუბრუნდათ.

აკადემიის შესახებ


აკადემიაში შექმნილია მსოფლიო სტანდარტების ადეკვატური განათლებას მიღების, იუნვერების/მსმენელების ნაყოფიერი და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებისათვის შესაბამისი გარემო. აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს: იუნვერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი, უმაღლესი სამეთაურო სკოლა, ენობრივი მომზადების სკოლა, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, კვლევითი ცენტრი და დისტანციური სწავლების ცენტრი. აკადემიას აქვს ბაზა, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, როგორც სასწავლო-სამეცნიერო და ტექნიკური, ასევე სამხედრო სწავლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. აკადემიაში ხორციელდება სამხედრო, აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სხვადასხვა პროფესიული პროგრამები, რომლებშიც ჩართულნი არიან სამხედრო და ფიზიკური მომზადების ინსტრუქტორები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი. აკადემიაში ხორციელდება ენების ინტენსიური სწავლება (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული, რუსული ენები და ქართული ენა (ეთნიკური უმცირესობებისთვის)).

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის იუნვერები/მსმენელები / აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ მოკლევადიან და გრძელვადიან გაცვლით პროგრამებში და იღებენ ცოდნასა და გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით.

აკადემიაში სწავლა უფასოა, ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. კურსდამთავრებულების 100% იან დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, აკადემიის იუნვერებს აქვთ ყოველთვიური სტიპენდია აკადემიური მოსწრებისა და სამხედრო საქმეში წარმატების შესაბამისად.



რეჟიმორის მისაღება



აკადემიის რეჟიმორი ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

მოგესალმებით,

ჩემთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, რომელიც ერთადერთი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ასევე ფუნქციონირებს უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურები - ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. აკადემია ავტორიზებულია და პროგრამები აკრედიტებულია სსიპ-საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. აკადემიაში სწავლით თქვენ გექმდებოდა უნიკალური შანსი გახდეთ სამხედრო-საგანმანათლებლო სივრცის განუყოფელი ნაწილი და ამავდროულად მიიღოთ უმაღლესი სამოქალაქო განათლება.

აკადემიაში თქვენ დაგხვდებათ ისეთი გარემო, სადაც შეძლებთ განავითაროთ როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი პოტენციალი, ამასთანავე კარგად გაიცნოთ ერთმანეთი და გამორჩეულ გუნდთან ერთად დადგეთ ქვეყნის თავისუფლების სადარაჯოზე. აკადემიაში მოსვლის პირველივე დღიდან თითოეულ თქვენგანს აუცილებლად ექნება განცდა იმისა, რომ აკადემია არის სწორედ ის ადგილი, სადაც უნდა აღიზარდოს სამშობლოს დამცველი, სადაც ფასდება თითოეული ახალგაზრდის ნიჭი, შემართება და მოტივაცია, სადაც შეძლებთ საკუთარი თავის სრულად რეალიზებას იმ მიზნებისათვის, რისთვისაც მოხვედით ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში. იცოდეთ, რომ პირადად მე და აკადემიის სრული პირადი შემადგენლობა, ყოველთვის მხარს დაგიჭერთ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და სწორად გამოყენებაში.

ჩვენი საქმიანობა დაფუძნებულია იუნკერებზე და მსმენელებზე ორიენტირებულ გარემოს შექმნაზე, სადაც მოღვაწეობენ უდიდესი გამოცდილების და საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამხედრო მოსამსახურეები და პროფესორ-მასწავლებლები. სწორედ, იუნკერებისათვის და მსმენელებისათვის სამხედრო სამსახურის სპეციფიკის გაცნობა, მისი ძირითადი საფუძვლების სწავლება, სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და აკადემიური განათლების მიცემა ჩვენი ყოველდღიური მუშაობის მიზანია.

პირადად ჩემთვის უდიდეს პატივს წარმოადგენს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის თანამდებობაზე სამსახური. ჩვენ აკადემიის სამეთაურო რგოლი, აკადემიის თითოეულ თანამშრომელთან ერთად, თქვენთან ერთად, ძვირფასო მეგობრებო, წარმატებულად ვაყალიბებთ იუნკერთა და მსმენელთა აღზრდას, აკადემიური მოსწრებისა და ლიდერობის განვითარების კულტურას, რაც წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს.

აკადემიის სტუდენტები ატარებენ "იუნკერის" სახელს და ეს არ არის შემთხვევითი. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულება საკუთარი ქვეყნისა და იმ ახალგაზრდა ვაჟუცების წინაშე, რომლებმაც 1921 წლის თებერვალში საკუთარი მკერდით, გმირულად დაიცვეს სამშობლო კოჭორბაბახმელას მისადგომებთან.

ჩვენი წმინდა ვალდებულება, ვიყო ერთგულნი სამშობლოს თავისუფლებისათვის ზეარაკად შეწირული მამულიშვილების ნათელი სისოვნისა.

ძვირფასო მეგობრებო, ჩემი მისაღება მინდა დავამთავრო პირველი ქართული სამხედრო სკოლის უფროსის, საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ-მაიორ გიორგი კვინიტაძის იუნკერებისადმი მოწოდებით: "დაე მუდამ თქვენთან იყოს გამარჯვება".

გისურვებთ წარმატებებს, გვფარავდეს ღმერთი!

პატივისცემით,

ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე.

აკადემიის ხელმძღვანელი პირები



აკადემიის რეჟისორის
პირველი მოადგილე
პულკოვნიკი
ლევან ქავთარაძე



აკადემიის რეჟისორის მოადგილე
შტაბის უფროსი
პულკოვნიკი
ივანე გვრიტიშვილი



აკადემიის რეჟისორის
მოადგილე
პულკოვნიკი
დავით რაზმაძე



აკადემიის სერჟანტი
მთავარი სერჟანტი
უჩა დავითური



ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სერჟანტთა კორპუსი
აკადემიის ხელმძღვანელობასთან ერთად
"მუდამ სამშობლოს სამსახურში"





**ბაკანაშვილის ხელმძღვანელი
ვიცხა-ჟოდკოშვიკი ზურაბ ზარეაძიძე**

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ინფორმატიკის ბაკალავრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:

258 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ინფორმატიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 258 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები 130 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტი 128 კრედიტი;



საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზანი და პროგრამის აქტუალობა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზს.

საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე დღეს არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მცოდნე და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრების მომზადებას, რომელთაც ექნებათ ინფორმატიკის სხვადასხვა ქვედარგების ძირითადი ამოცანების, მათი გადაჭრის თეორიების და ძირეული პრინციპების ფართო ცოდნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების როგორც ინფორმატიკის ერთ-ერთი ძირითადი ქვედარგის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება და მათი გადაჭრა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსი, უზრუნველყოს ინფორმატიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადება თავდაცვის ძალების და ქვეყნის სამსახურისთვის, რომელთაც ექნებათ ოფიცრის წოდება.

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა დააკმაყოფილონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნები, შეძლონ დასაქმება საქართველოს თავდაცვის ძალებში, ასევე სამოქალაქო სექტორში. კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას, როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. იქნებიან კონკურენტუნარიანები, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, შეძლებენ წარმატებულ კარიერულ წინსვლას და თავისი შესაძლებლობების რეალიზებას, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროგრამა მოიცავს ინფორმატიკის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას (თეორიული, ტექნიკური, პრაქტიკული, გამოყენებითი). მთავარი აქცენტი გაკეთებულია ინფორმატიკის პრაქტიკულ და გამოყენებით კომპონენტებზე, ანუ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობას როგორც თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში, ისე საქართველოს და საზღვარგარეთის შრომის ბაზარზე. პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების საკითხებს, რაც 21-ე საუკუნეში ინფორმატიკის ყოველი სპეციალისტის, მათ შორის ამ სფეროში მომუშავე მომავალი ქართველი ოფიცრების მაღალი კვალიფიკაციის ერთ-ერთ უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენს.



საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, უცხო ენის და მათემატიკის ჩაბარების შედეგები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფსიქოლოგიური ტესტირება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება). აბიტურიენტს ეთა-ს იუნვერის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT)

ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა იუნკერი.

ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე.

საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება.

გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, ბაკალავრიატი და G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილება.

იუნკერები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას ვალდებული არიან გაიარონ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო ინგლისური ენის ყველა სასწავლო კურსი.

ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში ტარდება (placement test) დიაგნოსტიკური ტესტი.

იუნკერთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება 5 დონე: Starter, A1, A2, B1, B2.

იუნკერები ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად გადანაწილდებიან შესაბამისი დონის ჯგუფებში Starter, A1, A2, B1, B2



ცოდნა და გაცნობიერება


კურსდამთავრებულს აქვს ინფორმატიკის სფეროს ფართო ცოდნა, რომლის საფუძველზეც იგი:

- აცნობიერებს ინფორმატიკის ფუნდამენტური პრინციპებს, კონცეფციებს და თეორიებს;
- ხსნის საინფორმაციო სისტემების მუშაობის პრინციპებს და მათი პროგრამული, ტექნიკური და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებებს.
- ხსნის ოცეულის დონის ქვედანყოფის მართვის პრინციპებს და აღწერს ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების საფუძვლებს.

უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოვლენა/დემონსტრირება და დასმული ამოცანის გადასაჭრელად ალგორითმებისა და პროგრამული რეალიზების შერჩევა;
- პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, რაც მოიცავს სხვადასხვა დანიშნულების ინფორმაციული სისტემების დაპროექტებას, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას და ექსპლუატაციას ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვით;
- მრავალეროვნულ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სამუშაო ჯგუფში დამოუკიდებლად ამოცანების შესრულება ჯგუფის ნომინალური ნევრის დონეზე.
- კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და ოცეულის დონის ქვედანყოფის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის სახმელეთო ოპერაციების დაგეგმვა და შესრულება.





პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- მიღებული ცოდნის მუდმივი გაღრმავება, ახალი ტექნოლოგიების ათვისება და მათი პრაქტიკაში გამოყენება დამოუკიდებლად;
- პროფესიული საქმიანობის (სამოქალაქო/სამხედრო) წარმართვა ორგანიზაციაში დადგენილი წესდებების, ეტიკეტის, პიროვნული და ეთიკური ღირებულებების დაცვით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება, განათლების მეცნიერებებისა და სამხედრო პედაგოგიკის განვითარების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მიდგომები, მათ შორის: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ. საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნება სინქრონული/ასინქრონული ელექტრონული სწავლება.

შეფასების სისტემა

იუნკერების ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას და დაცვას, სხვა სახის საქმიანობას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი.

შუალედური შეფასების და გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 40%-ით.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის ხვედრითი წილი შეადგენს დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის (40 ქულა) 50 %-ს ანუ 20 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა ;

4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში;

იუნკერთა ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები განწერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საჭიროებისამებრ იუნკერთა შეფასება (შუალედური/დასკვნითი) განხორციელდება ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ქვედანაყოფებსა და უზრუნველყოფის სამსახურებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

კურსდამთავრებულის დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორში, კერძოდ: სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებსა და კომპანიებში, სადაც ხორციელდება კომპიუტერული და მიკროპროცესორული სისტემების, მონაცემთა ბაზების, სამრეწველო და კომპიუტერული ქსელების პროექტირება, სერვისული მომსახურება, კომპიუტერული ქსელების ადმინისტრირება, ინფორმაციული სისტემების პროგრამული, ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული უზრუნველყოფა და ინფორმაციული უსაფრთხოება და სხვ

სწავლის გაგრძელების საშუალება

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მაგისტრატურაში, ეროვნული თავდაცვის აკადემიის საკარიერო სკოლებში, სამხედრო პროფესიული განვითარების კურსებზე, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

თავდაცვისა და უსაფრთხოების ბაკალავრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:

251 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს თავდაცვისა და უსაფრთხოების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 251 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები 126 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტი 125 კრედიტი;



საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზანი და პროგრამის აქტუალობა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზს.

საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე მდგარი ამოცანებიდან თავდაცვასა და უსაფრთხოებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. თანამედროვე გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართული არმიის ოფიცერს უნდა გააჩნდეს საკმარისი კომპეტენცია იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო და რეგიონალური უსაფრთხოების, აგრეთვე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, მათ შორის თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ საინფორმაციო სივრცეში.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

თავდაცვის და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- კომპლექსური ცოდნის მიღება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი პროცესების შესახებ გლობალურ და ეროვნულ დონეზე;
- საგარეო პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროებში უსაფრთხოების ზოგადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეძენა, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად;
- რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების საბაზისო უნარების განვითარება პრაქტიკაში გამოყენებისთვის.

აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებმა დაავაყოფილონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნები, დასაქმდნენ საქართველოს თავდაცვის ძალებში ან/და სამოქალაქო სექტორში, შეძლონ სწავლის გაგრძელება, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო პროგრამებზე. იყვნენ კონკურენტუნარიანი ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. შეძლონ წარმატებული კარიერული წინსვლა და თავისი შესაძლებლობების რეალიზება, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, უცხო ენის და ისტორიის/მათემატიკის ჩაბარების შედეგები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და ფსიქოლოგიური ტესტირება). აბიტურიენტს ეთა-ს იუნკერის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან სანყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT)

იუნკერის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა იუნკერი.

ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე.

საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება.

გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, ბაკალავრიატი და G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილება.

იუნკერები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას ვალდებული არიან გაიარონ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო ინგლისური ენის ყველა სასწავლო კურსი.

ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში ტარდება (placement test) დიაგნოსტიკური ტესტი.

იუნკერთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება 5 დონე: Starter, A1, A2, B1, B2.

იუნკერები ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად გადანაწილდებიან შესაბამის დონის ჯგუფებში Starter, A1, A2, B1, B2.

სნაპდის შედეგები პროგრამის დასრულების შემდეგ

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს ფართო ცოდნა, რომლის საფუძველზეც იგი:

- კრიტიკულად გააცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს და პრინციპებს;
- აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებებს და თეორიებს, საერთაშორისო პოლიტიკის ფაქტორებს, მექანიზმებსა და ინსტიტუტებს;
- განსაზღვრავს საერთაშორისო უსაფრთხოების არსებულ მიდგომებს და თანამედროვეობის გამოწვევებს.
- ხსნის ოცეულის დონის ქვედანაყოფის მართვის პრინციპებს და აღწერს ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების საფუძვლებს.



უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- განახორციელოს პრაქტიკული ხასიათის პროექტი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება მსოფლიოს და ეროვნულ დონეზე თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ;
- საკუთარი გადაწყვეტილებების ფორმულირება ქართულ და ინგლისურ/ენებზე, დამკვიდრებული ტერმინოლოგიისა და ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით, მათი ზეპირი და წერილობითი გადაცემა, გუნდური მუშაობა და წევრებს შორის კომუნიკაცია;
- ამომწურავი წერილობითი ანგარიშის მომზადება პროფესიული საქმიანობის შედეგების აღწერით;
- კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და ოცეულის დონის ქვედანაყოფის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის სახმელეთო ოპერაციების დაგეგმვა და შესრულება.

შეფასების სისტემა

იუნკერების ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას და დაცვას, სხვა სახის საქმიანობას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯა-მებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი.

შუალედური შეფასების და გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 40%-ით.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის ხვედრითი წილი შეადგენს დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის (40 ქულა) 50 %-ს ანუ 20 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა ;

პასუხისმგებლობა და ავთონომიურობა

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- საბაკალავრო ნაშრომს შესრულება კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით აკადემიაში დადგენილი წესის შესაბამისად;
- საკუთარი და ზოგადად სწავლის საჭიროების თანმიმდევრულად, მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა დამოუკიდებლად;
- პროფესიული საქმიანობის (სამოქალაქო/სამხედრო) წარმართვა ორგანიზაციაში დადგენილი წესდებების, ეტიკეტის, პიროვნული და ეთიკური ღირებულებების დაცვით.
- კომპლექსურ სასწავლო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება, განათლების მეცნიერებებისა და სამხედრო პედაგოგიკის განვითარების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მიდგომები, მათ შორის: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა—განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ. საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნება სინქრონული/ასინქრონული ელექტრონული სწავლება.



4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში;

იუნკერთა ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები განერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საჭიროებისამებრ იუნკერთა შეფასება (შუალედური/დასკვნითი) განხორციელდება ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ქვედანაყოფებსა და უზრუნველყოფის სამსახურებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორში, კერძოდ::

- სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ანალიტიკურ განყოფილებებში;

- სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, რომლებიც მუშაობენ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით.

სწავლის გაგრძელების საშუალება

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მაგისტრატურაში, ეროვნული თავდაცვის აკადემიის საკარიერო სკოლებში, სამხედრო პროფესიული განვითარების კურსებზე, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

მენეჯმენტის საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

მენეჯმენტის ბაკალავრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:

255 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 255 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები 130 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტი 125 კრედიტი;



საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზანი და პროგრამის აქტუალობა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზს.

საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე დღეს არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრების მომზადების აუცილებლობას, რომელთაც ექნებათ მენეჯმენტის სხვადასხვა ქვედარგის ძირითადი თეორიების და პრინციპებისა ფართო ცოდნა, შეძლებენ მმართველობით საქმიანობისას წარმოქმნილი კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას და პრაქტიკულ გადაწყვეტას.

შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულებმა მინიჭებულ კვალიფიკაციაზე დაყრდნობით, შესძლონ დასაქმება და სრულფასოვანი ინტეგრაცია სამოქალაქო სექტორში.

თანამედროვე სწრაფად ცვალებად გარემოში ორგანიზაციის ადაპტირებისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მენეჯერების მხრიდან ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელების აუცილებლობა, რაც გულისხმობს მართვის ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების მთლიანობას.



საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსი, მომავალზე ორიენტირებული ორგანიზაციების მენეჯერები, რომელთაც ექნებათ ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს წარმატებით იმოქმედონ კონკურენტულ გარემოში - შექმნან, მართონ და/ან წვლილი შეიტანონ როგორც თავდაცვის ძალების, ასევე სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების განვითარებაში. პროგრამის ამოცანაა კურსდამთავრებულებმა შეიძინონ ხარისხიანი ცოდნა, რათა შეძლონ სწავლის შემდგომი გაგრძელება საქართველოს ან საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, ჰქონდეთ წარმატებული კარიერული წინსვლა თავიანთი შესაძლებლობების რეალიზების გზით, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, უცხო ენის და მათემატიკის/ისტორიის ჩაბარების შედეგები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და ფსიქილოგიური ტესტირება). აბიტურიენტს ეთა-ს იუნკერის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან სანყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT)

ინჰერენსი ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა იუნკერი.

ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე.

საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება.

გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, ბაკალავრიატი და G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილება.

იუნკერები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას ვალდებული არიან გაიარონ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო ინგლისური ენის ყველა სასწავლო კურსი.

ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში ტარდება (placement test) დიაგნოსტიკური ტესტი.

იუნკერთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება 5 დონე: Starter, A1, A2, B1, B2.

იუნკერები ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად გადანაწილდებიან შესაბამის დონის ჯგუფებში Starter, A1, A2, B1, B2.

სწავლის შედეგები პროგრამის დასრულების შემდეგ

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს მენეჯმენტის სფეროს ფართო ცოდნა, რომლის საფუძველზეც იგი:

- აღწერს მენეჯმენტის სფეროს საბაზისო ცნებებს, პრინციპებს, თეორიებს, არსებულ უნივერსალურ პრობლემებს და საკითხებს;
- კრიტიკულად აცნობიერებს მართვის მეცნიერების, მათ შორის ზოგადი მენეჯმენტის სფეროს ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს, კომპლექსურ საკითხებს და მათთან დაკავშირებულ თანამედროვე მმართველობით მიდგომებს;
- განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების, ორგანიზაციების ეკონომიკური გარემოს ანალიზის მეთოდოლოგიურ საფუძვლებსა და ორგანიზაციის ეკონომიკური ფუნქციონირების მექანიზმებს;
- ხსნის ოცეულის დონის ქვედანყოფის მართვის პრინციპებს და აღწერს ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების საფუძვლებს.

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ორგანიზაციის წინაშე მდგარი მმართველობითი პრობლემების თემატურად იდენტიფიცირება და გადაჭრა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
- მენეჯმენტის სფეროში არსებული ეკონომიკური, საფინანსო, მარკეტინგული და საკადრო პროცესების ანალიზი და შეფასება;
- გუნდური მუშაობა და გუნდის წევრებს შორის კომუნიკაცია თანამედროვე მეთოდების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კვლევითი ხასიათის ნაშრომის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და ოცეულის დონის ქვედანაყოფის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის სახმელეთო ოპერაციების დაგეგმვა და შესრულება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- საკუთარი და ორგანიზაციის სხვა წევრების პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება.
- პროფესიული საქმიანობის (სამოქალაქო/სამხედრო) წარმართვა ორგანიზაციაში დადგენილი წესდებების, ეტიკეტის, პიროვნული და ეთიკური ღირებულებების დაცვით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება, განათლების მეცნიერებებისა და სამხედრო პედაგოგიკის განვითარების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მიდგომები, მათ შორის: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდექცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ასხნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ. საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნება სინქრონული/ასინქრონული ელექტრონული სწავლება.

იუნკერების ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას და დაცვას, სხვა სახის საქმიანობას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი.

შუალედური შეფასების და გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 40%-ით.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის ხვედრითი წილი შეადგენს დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის (40 ქულა) 50 %-ს ანუ 20 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა ;

4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში;

იუნკერთა ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები განერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საჭიროებისამებრ იუნკერთა შეფასება (შუალედური/დასკვნითი) განხორციელდება ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ქვედანაყოფებსა და უზრუნველყოფის სამსახურებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

კურსდამთავრებულის დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორში. კერძოდ, სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა ბიზნეს სფეროში (ფუნქციონალურ, საშუალო და ქვედა დონის მენეჯერებად) და სახელმწიფო სექტორის საშუალო რანგის ადმინისტრაციულ-მმართველობით სფეროებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მაგისტრატურაში, ეროვნული თავდაცვის აკადემიის საკარიერო სკოლებში, სამხედრო პროფესიული განვითარების კურსებზე, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

260 ECTS კრედიტი;

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს აკადემიური ხარისხი - ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში ენიჭება 260 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები 135 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტი 125 კრედიტი.



საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზანი და პროგრამის აქტუალობა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათ-ლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზს.

საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე დღეს არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროს და მექანიკის ინჟინერიის დარგის მცოდნე და შესაბამისი უნარჩვევების მქონე ოფიცრების მომზადებას, რომელთაც ექნებათ მექანიკის ინჟინერიის სწავლის სფეროს სხვადასხვა მიმართულებების ძირითადი ამოცანების, მათი გადაჭრის თეორიების და ძირეული პრინციპების ფართო ცოდნა, კომპლექსური საკითხების გაცნობიერებისა და მათი გადაჭრის უნარი.



მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს „მექანიკის ინჟინერიის“ კვალიფიცირებული სპეციალისტი, აკადემიური ხარისხით „ინჟინერიის ბაკალავრი მექანიკის ინჟინერიაში“, რომელიც შეძლებს შრომის თავისუფალ ბაზარზე არაპროგნოზირებად გარემოში განვითარებაზე ორიენტირებულ კონკურენტუნარიან პრაქტიკულ საქმიანობას;
- კურსდამთავრებულს მისცეს ფართო ცოდნა თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიების და მექანიკის ინჟინერიის ფუნდამენტური პრინციპების და მათი გამოყენების მიმართულებით;
- გამოუმუშაოს პროექტის შედგენის, განვითარების, საინჟინრო გათვლების შესრულების, გამოცდების ჩატარების, მონაცემების დამუშავების, პრეზენტაციის, მოდიფიკაციის და შეფასების უნარები. განუვითაროს გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაწყვეტის, სწავლების და კვლევების დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსი, განუვითაროს მათ მენეჯერული, ლიდერული და გუნდური მუშაობის უნარები, რათა მათ შეძლონ პიროვნული განვითარება და თავისი შესაძლებლობების რეალიზება, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენის, უცხო ენის და მათემატიკის ჩაბარების შედეგები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფსიქოლოგიური ტესტირება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება). აბიტურიენტს ეთა-ს იუნკერის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან სანყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT)

ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა იუნკერი. ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მასში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე.

საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება. გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, ბაკალავრიატი და G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილება.

იუნკერები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას ვალდებული არიან გაიარონ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო ინგლისური ენის ყველა სასწავლო კურსი.

ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში ტარდება (placement test) დიაგნოსტიკური ტესტი.

იუნკერთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება 5 დონე: Starter, A1, A2, B1, B2.

იუნკერები ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად გადანაწილდებიან შესაბამისი დონის ჯგუფებში Starter, A1, A2, B1, B2.

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- აღწერს მექანიკის ინჟინერიის სფეროს ფუნდამენტურ პრინციპებს, კონცეფციებს, თეორიებს, კრიტიკული გააზრებისა და ცოდნის ზოგიერთ უახლოეს ასპექტებს;
- ხსნის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ჰუმანიტარული, სოციალური, საბუნებისმეტყველო, სამხედრო და საინჟინრო მეცნიერების ძირითად საკითხებსა და თეორიებს.

უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- მსჯელობს არგუმენტირებულად თეორიული დებულებებისა და პრინციპების შესახებ, იყენებს ლოგიკური აზროვნების ძირითად კანონებს, აყალიბებს და ასაბუთებს საკუთარ პოზიციას. ახორციელებს წერით და სალაპარაკო კომუნიკაციას პროფესიულ დონეზე საკუთარი მოსაზრებებისა და გადაწყვეტილებების გადმოსაცემად, როგორც ქართულ ისე უცხოურ ენაზე;
- გადაჭრის რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებსა და ამოცანებს. ახორციელებს საინჟინრო, კვლევითი ხასიათის პროექტებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- გაიანგარიშებს და აპროექტებს მექანიზმებსა და სისტემებს. იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს მონაცემთა დამუშავებისა და ნახაზებისა შექმნისას. ატარებს ლაბორატორიულ ცდებს. აწარმოებს გაზომვებს;
- გეგმავს საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესებს და აკონტროლებს მათ განხორციელებას. იცავს ტექნოლოგიური პროცესების მუშაობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნებს. აფასებს სისტემის მუშაობის ეფექტურობას;
- გეგმავს ოცეულის თავდასხმით და თავდაცვით ოპერაციებს. მართავს ოცეულის დონის ქვედანაყოფს გარემოს ნებისმიერ პირობებში. შეიმუშავებს, გაცემს და ასრულებს ოცეულის ოპერატიულ ბრძანებებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ პროფესიულ საქმიანობას კომპლექსურ და არაპროგნოზირებად გარემოში ეთიკის და პიროვნული ღირებულებების დაცვით. განსაზღვრავს როგორც საკუთარი, ისე სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის ცოდნის განახლების და სწავლის გაგრძელების საჭიროებასა და მიმართულებას;
- იაზრებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. შეძენილი ცოდნით იცავს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ავითარებს საქართველოს თავდაცვის ძალების ოფიცრის მაღალ თვითშეგნებას, ნებისმიერ პირობებში ემსახუროს სამშობლოს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება, განათლების მეცნიერებებისა და სამხედრო სწავლების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მიდგომები, მათ შორის: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვ.

შეჯასების სისტემა

იუნკერების ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.

იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, საკურსო პროექტზე მუშაობას, სხვა სახის საქმიანობას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) აქვს თავისი პროცენტული წილი. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 30%-ით, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი განსაზღვრულია 40%-ით. საერთო საჯარისო მართვის სასწავლო კურსების სილაბუსებში ზოგიერთი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი უფრო მაღალია, მაგრამ არაუმეტეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა;

4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

- ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

იუნკერთა ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები განწერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საჭიროებისამებრ იუნკერთა შეფასება (შუალედური/დასკვნითი) განხორციელდება ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ქვედანაყოფებსა და უზრუნველყოფის სამსახურებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, თავდაცვის, უსაფრთხოების და სამხედრო პროფილის სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

კურსდამთავრებულის დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

გარდა ამისა, კურსდამთავრებულებს შეეძლება დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორში, კერძოდ:

- სახელმწიფო ან კერძო საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც მოითხოვება მექანიკის ინჟინერიის ბაკალავრის კვალიფიკაცია;

- ნებისმიერი დარგის საწარმოებში და დაწესებულებებში, სადაც მოითხოვება ინჟინერიის ბაკალავრის კვალიფიკაცია კონსტრუირების, წარმოების, ტექნოლოგიური და მომსახურების პროცესების ამოცანების გადაწყვეტისათვის.



სწავლის გაგრძელების საშუალება

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მაგისტრატურაში, საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის საერთო საჯარისო ცენტრის საკარიერო პროგრამებზე, სამხედრო პროფესიული განვითარების კურსებზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.


საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მათერიალურ-მეჟნიკური ბაზა

მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაზაზე, რომელიც მოიცავს სასწავლო და დამხმარე დანიშნულების შემდეგ შენობა-ნაგებობებს: თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს, კომპიუტერულ ცენტრებს, სიმულაციურ ცენტრს, სპორტულ დარბაზებს, საცურო აუზს, სატრენაჟოროს, რეკრეაციულ ცენტრს, სასადილოს, ლაზარეთს და სხვ.

პროგრამის განხორციელებისას პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაოების და სწარმოო პრაქტიკისათვის გამოყენებული იქნება აგრეთვე: სსიპ - სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის „დელტა“ საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, საგამოცდო და ლაბორატორიული საშუალებები.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა შედგება: საბუნების-მეტყველო, საინჟინრო, ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა და სამხედრო პროფილის წიგნადი ფონდისაგან.

იუნვერთა სასწავლო და საოფისე ინვენტარით მომარაგების, კვების, განთავსების, სამხედრო აღჭურვის ხარჯების, აგრეთვე აკადემიური და სხვა მომსახურე პერსონალის სამუშაოს ანაზღაურებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.



საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ქართულ ენაში მომზადების
საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:

60 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, საქართველოს სახელმწიფო ენა შესწავლოს საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას.

პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი მსმენელებისათვის ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა B2 დონეზე, რომელიც აუცილებელია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეძლონ წარმატებული კომუნიკაცია ქართულ ენაზე, სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგება და შექმნა (სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება); გამოუმუშავდეთ ლექსიკური მარაგის, სწორი მორფოლოგიური ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით წინადადებების აგების უნარი; სიტუაციის (კონტექსტის) შესაბამისად ენობრივი ფორმების გამოყენების უნარი; ტექსტის გაგების, კონსტრუირებისა და ინტერპრეტირებისათვის სათანადო სტრატეგიების გამოყენების უნარი; ქართული ენის გამოყენებით ქართულ გარემოში ორიენტირების უნარი; შეძლონ ქართული ენის ცოდნისა და უნარების შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია როგორც სახელმწიფო ენის სწავლება, ასევე არაქართულენოვანი მსმენელებისთვის თავდაცვის ძალებში ქვეყნის ერთგული და ღირსეული სამსახურისთვის ხელშეწყობა.

ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

1. აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 23 წელი;

2. აბიტურიენტებს, რომლებსაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1² პუნქტის თანახმად, ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვთ მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი ტესტი: ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი; ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი, ოსური და აფხაზური ენის ტესტი. (საქართველოს მოქალაქეები).

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ" 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

უცხო სახელმწიფოს მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის ჩარიცხვა ხორციელდება სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად.

3. აბიტურიენტებმა წარმატებით უნდა გაიარონ ტესტირება ფიზიკურ მომზადებაში, გაიარონ სამედიცინო შემოწმება და ფსიქოლოგიური რესტირება წარმოადგინონ ყველა მოთხოვნილი საბუთი განსაზღვრულ ვადაში.



ენობრივი დონის განსაზღვრა

ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში ტარდება ენობრივი დონის განმსაზღვრელი გამოცდა; საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას უზრუნველყოფს ენობრივი მომზადების განყოფილება; სანყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრის შედეგად (ოთხივე მიმართულებით) განხორციელდება მათი გადანაწილება სხვადასხვა დონის (A და B ბლოკები) ჯგუფებში.

A ბლოკი გულისხმობს პირველ სემესტრში ინტენსიურ კურსებს, მეტი საკონტაქტო საათების ოდენობას და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აქტიურ დახმარებას; B არჩევითი ბლოკი შედარებით მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებზეა გათვლილი (B1 და მეტი).

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

სწავლის შედეგები პროგრამის დასრულების შემდეგ

კურსდამთავრებულს შეუძლია ქართული ენის პრაქტიკულად გამოყენება მთელი რიგი ვერბალური და წერიტი მიზნებისათვის; სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა, წაკითხვა, გაგება, ანალიზი; შესწავლილი ლექსიკური მარაგის გამოყენება. გამოუმუშავდება შემწყნარებლობის უნარი განსხვავებული კულტურების მიმართ, განივითარებს სამეტყველო უნარებს რეცეფციის (მოსმენა, კითხვა) და პროდუცირების (ლაპარაკი, მოსმენა) მიმართულებით. აგრეთვე გამოუმუშავებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, არგუმენტირებული დასკვნისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, ღირებულებებს.



სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ლექცია-სამუშაო ჯგუფი, დისკუსია/დებატები, ვერბალური ანუ ბეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მუშაობა, აუდირების მეთოდი, თანამშრომლობითი სწავლება, წყვილებში მუშაობა, ჯგუფში მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, ძიებითი კითხვა, გადათვალერება, შესწავლითი კითხვა, დავალების ჯგუფური და ინდივიდუალური შესრულება და სხვ. საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნება სინქრონული/ასინქრონული ელექტრონული სწავლება.

შეფასების სისტემა

პროგრამის მსმენელთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.

მსმენელთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას; დამოუკიდებელ მეცადინეობას; გამოცდების (შუალედური/ დასკვნითი) მომზადება–ჩაბარებას;

მსმენელის ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს აქვს თავისი ხვედრითი წილი შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა).

შუალედურ და დასკვნით (დასკვნითი გამოცდის) შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის ხვედრითი წილი შეადგენს შეფასების მაქსიმალური ქულის 30 %-ს.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მსმენელს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა ;

4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

მსმენელს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში;

მსმენელთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან. ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში და ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას.

სწავლის გაგრძელების საშუალება

კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას საბაკალავრო პროგრამაზე და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრირებას.



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:



უსაფრთხოების კვლევის
მეცნიერების ხელმძღვანელი
ზურაბ აბლაძე



მაგისტრატურის ხელმძღვანელი
ვიცე-პროფესორი იოსებ ჯაფარიძე



თავდაცვის ანალიზის
მეცნიერების ხელმძღვანელი
ნიკოლოზ სამხარაძე

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამა MA PROGRAM IN DEFENCE ANALYSIS

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

თავდაცვის ანალიზის მაგისტრი
MA in Defence Analysis

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით:
120 ECTS კრედიტი;

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს თავდაცვის ანალიზის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 120 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად: 95 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები და 25 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები-(სულ შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაა 82); 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი (საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი);

საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად კანდიდატები:

- მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა უნდა გამოქვეყნდეს აკადემიის ვებგვერდზე მისაღები გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე);
- კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ ინგლისური ენის გამოცდა (მინიმუმ CEF B2 ან STANAG 2;2;2;2) ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- გაიარონ გასაუბრება (მხოლოდ სამოქალაქო პირებისათვის);
- სამხედრო მოსამსახურეები დამატებით აბარებენ სამეთაურო საშტაბო პროგრამის მისაღებ გამოცდას;
- სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან:



1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის ოფიცრები.

ა) „მაიორი“-ს და „ვიცე-პოლკოვნიკი“-ს სამხედრო წოდებით - რომლებსაც გავლილი აქვთ კაპიტნის საკარიერო კურსი ან მასთან გათანაბრებული სამხედრო განათლების პროგრამა*, მინიჭებული აქვთ არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ზღვრულ ასაკამდე დარჩენილი აქვთ არანაკლებ 5 წლისა და არ აქვთ დამთავრებული სამეთაურო საშტაბო კურსი ან/და მისი უცხოური ექვივალენტი;

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და საქართველოს სხვა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს უწყებების წარმომადგენელი სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე პირები, რომლებსაც გააჩნიათ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება.

3. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხი სამხედრო და სამოქალაქო პირების კვოტა არის 15.

3.1 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო ოფიცრები - 8 სამხედრო მოსამსახურე.

3.2 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და საქართველოს სხვა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს უწყებების წარმომადგენელი - 7 სამოქალაქო ან სპეციალური წოდების მქონე პირი.

4. სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად პრიორიტეტი მიენიჭებათ იმ სამხედრო მოსამსახურეებს რომელთაც წარმატებით გადალახეს საგამოცდო მინიმუმი მისაღებ გამოცდებში. თუკი ამგვარი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა აღემატება პროგრამისათვის არსებული ადგილების რაოდენობას, მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, პროგრამაზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე.



5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს და საქართველოს სხვა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს უწყებებიდან წარმოდგენილი კანდიდატები პროგრამაზე ჩაირიცხებიან მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე. საგამოცდო მინიმუმის გადალახვის შემთხვევაში პრიორიტეტი ჩაირიცხვამე მიენიჭება სტრუქტურულ კუთვნილებას (თითოეული სტრუქტურიდან 1 პირი, რათა მიღწეულ იქნას მაქსიმალური წარმომადგენლობითი მრავალფეროვნება).

6. რომელიმე სახელმწიფო უწყებიდან კანდიდატის არ არსებობის ან საგამოცდო მინიმუმის ვერ გადალახვის შემთხვევაში მათი კვოტა დაემატება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გვარეობებს (მისაღები გამოცდის შედეგების მიხედვით შექმნილი რეიტინგის შესაბამისად, კურსზე ჩაირიცხება უკეთესი მაჩვენებლის მქონე სამხედრო მოსამსახურე).



შენიშვნა:

* საქართველოს თავდაცვის მინისტრის 08/05/2014 წლის ნომერ MOD81400000595 ბრძანების თანახმად „ოფიცერთა სამხედრო განთლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ (მუხლი 12, 3-ე ქვეპუნქტი) ოფიცერებს ვიცეპოლკოვნიკის სამხედრო წოდებით, რომლებსაც სრულად არა აქვთ გავლილი ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების პროგრამები 2020 წლის ჩათვლით ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მისაღები გამოცდებში და კონკურსის შედეგად ჩაირიცხონ აღნიშნულ პროგრამაზე.

სწავლების ენა:

ქართული (ცალკეული სასწავლო კურსები შესაძლებელია წაკითხულ იქნეს ინგლისურ ენაზე)

საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზანი და აქტუალობა:

სამაგისტრო პროგრამის შეთავაზების მიზანია საქართველოში სამხედრო სფეროში უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურზე მსგავსი პროგრამების არარსებობა. თანამედროვე ჰიბრიდული გამოწვევების საპასუხოდ, ტოტალური თავდაცვის სისტემის დასანერგად და კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად საქართველოს თავდაცვის ძალებს და ზოგადად უსაფრთხოების სექტორს ესაჭიროება ღრმა სისტემური ცოდნის მქონე პროფესიონალები. პროგრამა ასევე აქტუალურია, კარიერული წინსვლის და უფროს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდების მინიჭების ახალი სისტემის დანერგვის თვალსაზრისით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:



თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ კომპეტენცია უსაფრთხოების ცვალებადი გარემოს პირობებში იმუშავონ ხელმძღვანელ თანამდებობებზე თავდაცვის სფეროს ფართო სპექტრში, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულებს ექნებათ:

- თავდაცვის ანალიზის, კონცეფციებისა და თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას შეიმუშაონ ან მონაწილეობა მიიღონ ახალი მიდგომებისა და კონცეფციების შემუშავების პროცესში;
- თანამედროვე ოპერატიულ გარემოში ეროვნული ძალის ინსტრუმენტების ცოდნა, რაც მისცემთ მათ ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. ისინი შეძლებენ დასახული ამოცანების შესრულებისა და წამოჭრილი პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო გზების გაცნობიერებას.
- ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების ცოდნა და გაცნობიერება, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ სამხედრო გადანყვეტილების პროცესისა და ოპერატიული დიზაინის წარმართვის სწორი მიმართულებების გაცნობიერებას.

უნარი:

კურსდამთავრებულებს სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში შეეძლება:

- საბრძოლო ფუნქციების ინტეგრირება სრული სპექტრის ოპერაციებში
- შესაფერისი მოდელებისა და გადანყვეტილების მიღების მეთოდების სწორად შერჩევა ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ანალიზისათვის.



- საბრძოლო ძალის ელემენტების კოორდინირება კომპლექსური პრობლემების აღმოსაფხვრელად. დეცენტრალიზებული მართვის პირობებში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება.
- თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობის მიღება და ამ მიმართულებით კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება. სამხედრო სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად სხვადასხვა ალტერნატივების იდენტიფიცირება და მათი განხორციელების დაგეგმვა;
- თანამედროვე ოპერატიულ გარემოში ეროვნული ძალის ინსტრუმენტების გამოყენება დასახული ამოცანების შესასრულებლად და წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად
- ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების საფუძველზე სამხედრო გადაწყვეტილების პროცესის და ოპერატიული დიზაინის სწორი გზით წარმართვა
- სწრაფად ცვლებად გარემოში, არასრული ინფორმაციული სურათის პირობებშიც კი კრიტიკული აზროვნების საფუძველზე სწორი და ლოგიკურად არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას
- რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტების სიღრმისეულ ანალიზს;
- რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით კვლევის წარმოების დროს იდეების, ინფორმაციის, მონაცემებისა და თეორიების სინთეზს. ექსპერტებისა და თავდაცვის ანალიზით დაინტერესებული პირებისთვის საკუთარი კვლევის შედეგების ლოგიკურ, სტრუქტურირებულ და თანამიმდევრულ გადაცემას როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით;





- თავდაცვის ანალიზისა და ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების არგუმენტირებულად განხილვას; რეკომენდაციების გასაცემად და მათ სისწორეში დასარწმუნებლად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;
- პროფესიული და ანალიტიკური საკითხების შესახებ დეტალური წერილობითი მოხსენებების მომზადებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

კურსდამთავრებული შეძლებს:

- პროფესიული საქმიანობის დაგეგმვას პიროვნული თვისებების (აკურათულობა, პუნქტუალობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ა.შ.) საფუძველზე;
- სხვისი აზრის პატივისცემას დებატებში მონაწილეობისას;
- სწავლის პროცესის თანმიმდევრულად წარმართვას და შემდგომი სასწავლო მოთხოვნების დამოუკიდებლად განსაზღვრას;
- სწავლის პროცესში კონკრეტული ნაკლოვანებების განსაზღვრას და მათ აღმოსაფხვრელად ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მომზადებას.

შეფასების სისტემა

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად; იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას, სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომის (სამაგისტრო ნაშრომის) დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები განწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 45% (45 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

იუნკერთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან.

იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

გამოცდის ან დავალებების (წერითი ნამუშევარი, პრეზენტაცია და სხვა) შემონშებისას შესაბამისი წესით დადასტურებული პლაგიატის დაფიქსირების შემთხვევა, ასევე გამოცდის მიმდინარეობისას გადაწერის მცდელობის, კარნახისა ან გამოცდისათვის ხელის შეშლისათვის, პირის გამოცდიდან მოხსნა, ფიქსირდება, როგორც უარყოფითი შედეგი, გამოცდის ან დავალებისათვის განსაზღვრული ქულა განუღდება და შეფასება დაფიქსირდება „0“.

სამაგისტრო ნაშრომი მუშაობისა და დაცვისათვის იუნკერს უნდა ჰქონდეს მიღებული საკმარისი კრედიტები სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმით სამაგისტრო ნაშრომის წინა სემესტრებში გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში. საჭარო დაცვაზე დაშვების პირობაა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა. იუნკერი, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებაში მიიღებს უარყოფითი შედეგს „FX“ (ვერ ჩაბარება), დაიშვება დამატებით დაცვაზე; მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებაში უარყოფითი შედეგის „F“ (ჩაიჭრა) და/ან დამატებით გამოცდაზე კვლავ „FX“-ის (ვერ ჩაბარება) მიღების შემთხვევაში, იუნკერის საკითხი პროგრამიდან ამორიცხვის თაობაზე გადაეცემა აკადემიის აკადემიურ საბჭოს.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში (შეფასება „E“, „D“, „C“, „B“ და „A“) კურსდამთავრებულს გადაეცემა უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის დიპლომი. იმ კურსდამთავრებულს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით შეფასებაში მიიღებს შეფასება „ფრიაღს“ (A) გადაეცემა წარჩინების დიპლომი.

იუნკერთა ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები განერილია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფერო:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის ეთა-ს აკადემიური პროგრამების დამკვეთი და ეთა-ს კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებელი.

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სტრატეგიულ პოლიტიკურ სფეროში, მრჩეველთა პოზიციებზე, თავდაცვის სამინისტროსა, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს და თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებებში. სამხედრო სექტორთან ერთად, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორშიც: სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია მიმართულებების დადგენასა და განხორციელებაში: თავდაცვის უსაფრთხოების საკითხებში, კონტრტერორისტულ პოლიტიკაში და სხვა. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული თავდაცვის საკითხების, თავდაცვის უსაფრთხოების კვლევებისა და პოლიტიკური კვლევების განხორციელებაში მონაწილეობა და იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია ეროვნულ უსაფრთხოებაზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.

სწავლის ბაზრქმების შესაძლებლობა

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.





საკონტაქტო ინფორმაცია

ტელეფონები:

(+995) 577 39 01 94; (+995 032) 2 30 52 85

ელ-ფოსტა:

nda@mod.gov.ge

ვებგვერდი:

www.eta.edu.ge

Facebook: <https://www.facebook.com/eta.edu.ge>

Youtube: <http://www.youtube.com/c/ETAGeorgia>



ეროვნული თავდაცვის აკადემია